ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვები და მათი ოჯახური ისტორიები

ანნა ფერაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ კვლევა არის ჩემს მიერ დამოუკიდებლად წარმოებული და არ შეიცავს აქამდე გამოქვეყნებულ ან გამოსაქვეყნებლად გამზადებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს. ყველა გამოყენებული მასალა აღნიშნულია წესების შესაბამისად.

ანნა ფერაძე

23.01.2014

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. აქცენტი გაკეთებულია იმ პრობლემებსა და სიძნელეებზე, რომელთაც ყველაზე ხშირად აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვების პრობლემებსა და მათ ოჯახურ მდგომარეობებს. საკითხის შესასწავლად არასამთავრობო ორგანიზაცია ,,პირველი ნაბიჯის" ცერებრული დამბლით დაავადებულ ბენეფიციართა მეურვეებში გაიზომა სტრესის დონე და ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი. კვლევაში გამოყენებული იყო შერეული მეთოდი. მიღებული შედეგები არასაკმარისია საერთო სურათის დასადგენად, თუმცა კარგად ასახავს იმ ძირითად პრობლემებს, რაც ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვებსა და მათ ოჯახებს აწუხებთ საქართველოში.

მოცემული კვლევის შედეგები დაეხმარება სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებს უკეთ განსაზღვრონ თუ რა სახის სერვისებია საჭირო ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის.